გეშინოდეს ალლაჰის ყველგან, სადაც არ უნდა იყო. ცუდი საქციელის შემდეგ კეთილი საქციელი ჩაიდინე — ის გააუქმებს მას. და ადამიანებს კეთილი ზნეობით მოექეცი

გადმოცემულია აბუ ზარ ჯუნდუბ იბნ ჯუნაადასგან, და აბუ აბდურრაჰმანისგან, მუ'აზ იბნ ჯაბალისგან (ალლაჰი იყოს მათითთ კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გეშინოდეს ალლაჰის ყველგან, სადაც არ უნდა იყო. ცუდი საქციელის შემდეგ კეთილი საქციელი ჩაიდინე — ის გააუქმებს მას. და ადამიანებს კეთილი ზნეობით მოექეცი».

[قال الترمذي: حديث حسن] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სამ რამეს გვიბრძანებს: პირველი: ალლაჰის შიში, რაც გამოიხატება ვალდებულებების შესრულებაში და აკრძალულთა მიტოვებაში ყველგან, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მდგომარეობაში — ფარულადაც და ღიადაც, კეთილდღეობაში თუ გამოცდაში და სხვა მსგავსში. მეორე: თუ ბოროტი საქმე ჩაიდინე, შემდეგ კეთილი საქმე გააკეთე: ლოცვა, ქველმოქმედებ, სიკეთე, ნათესაურ კავშირებზე ზრუნვა, მონანიება და სხვა მსგავსი, რადგან ეს შლის ცუდ საქმეს (ცოდვებს). მესამე: ადამიანებთან მოიქეცი კარგი ზნეობით: გაუღიმე მათ, იყავი რბილი და კეთილი, გამოავლინე სიკეთე და შეიკავე თავი ზიანის მიყენებისგან.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4302

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee